საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

განგებლოვი სიმონ გიორგის ძე

განგებლოვი (განგებლიძე) სიმონ გიორგის ძე (24. V. 1757, მოსკოვი,–17. II. 1827, სოფ. ბოგოდაროვკა, ვერხნედნეპროვსკის მაზრა, ეკატერინოსლავის გუბ., ახლანდ. დნეპროპეტროვსკის ოლქი), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1799). რუსეთში გადასახლებული ქართვ. აზნაურის გიორგი ქრისტეფორეს ძე განგებლიძის შვილი, განგებლოვი ალექსანდრე|ა. განგებლოვის მამა. სამხ. სამსახური დაიწყო 1771 ჰუსართა ლეგიონში. 1788-იდან მსახურობდა მოლდავეთის ჰუსართა და იაროსლავლის ქვეით ლეგიონებში. რუს.-ოსმ. ომში (1787–91) მონაწილეობდა ოჩაკოვის, ჰაჯიბეისა (ახლანდ. ოდესა) და სხვა ციხესიმაგრეების აღებაში, 1791 მეთაურობდა სადესანტო რაზმს, რ-იც იცავდა დუნაის შესართავებს. 1794–95 რუს. არმიის შემადგენლობაში იბრძოდა აჯანყებული პოლონეთის წინააღმდეგ. ბაგრატიონი პეტრე|პ. ბაგრატიონის რაზმის შემადგენლობაში უნარიანად მეთაურობდა ეგერთა ლეგიონს ა. სუვოროვის ხელმძღვანელობით განხორციელებულ იტალ. და შვეიც. კამპანიებში (1799), რისთვისაც მიენიჭა გენ.-მ. წოდება. იყო რუს. 1812 სამამულო ომის და რუს. არმიის საზღვარგარეთ ლაშქრობის (1813) აქტ. მონაწილე. გმირულად იბრძოდა ბაუცენის (1813) ბრძოლაში, სადაც მძიმედ დაიჭრა.

დაჯილდოებულია წმ. გიორგის II და IV ხარისხის ორდენებით.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე შ., ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979, გვ. 39–43.

ო. ჟორდანია